წელიწადი პირველი. — № 6. 13. ხუთშაბათი, 27 ივლისი 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 6 კაპ.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მ. 60 კ., სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში: **განოვის ქუჩა, სახლი გურგენოვისა № 8** და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

შინაარსი

როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება. — სოფელში, ლექსი. — საუბარი გლეხებთან. — გლეხის წერილები. — ხალხის ფული. — გლეხი ღღეს, ლექსი. — ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — ვინ რითი სცხოვრობს.

რედაქციის კანტორა სთხოვს აგენტებს ანგარიშის გასწორება დააჩქარონ და ეცადნენ თვეში ორჯერ წარმოადგინონ გაყიდულ გაზეთის ფული.

„გლეხის“ რედაქცია ღია არის ყოველდღე კვირა-უქმე ღღეების გარდა, დილის 9 საათიდან 1 საათამდის და ნაშუადღევის 4 — 6 საათ.

„გლეხის“ კანტორა ბოდიშს იხდის იმ აგენტების წინაშე, რომელთაც ან ნაკლები, ან სულ ვერ გავუგზანეთ მეხუთე №; გაზეთი დაიბეჭდა 3500 ცალი, მაგრამ არ გვეყო. ეხლა ვბეჭდავთ 4200 ცალს.

როგორაა მოწყობილი დღევანდელი წარმოება

---:—

გლეხი ყველაზე მეტს მუშაობს, ყველაზე უფრო გაჭირვებულია; გლეხმა უნდა მოიპოვოს მიწა და თავისუფლება, რომ თავი დააღწიოს შიმშილს და გაჭარებულს ცხოვრებას. გლეხმა უნდა იბრძოლოს მიწისა და თავისუფლებისათვის.

მაგრამ კმარა მიწა და თავისუფლება? ზლეხი უნდა დაკმაყოფილდეს, რაკი მოიპოვებს მიწას და თავისუფლებას? ბედნიერი იქნება და სხვა არაფერი დასჭირდება? არა, ამხანაგებო! გლეხისთვის არ კმარა მარტო მიწა და თავისუფლება! აუცილებელი საჭიროა ერთიც და მეორეც, ხოლო ეს ვერ დაიხსნის გლეხს ყველანაირ შევიწროებისაგან და მანამდე არ ეღირსება ტკბილ და მოსვენებულ ცხოვრეას, სანამ დედამიწაზე არ დამყარდება ჭეშმარიტი ერთობა-სოციალიზმი.

ჩვენ უკვე ავხსენით, რომ თავისუფლება მშვენიერი რამაა, თავისუფლების დროს ხალხი არ იქნება მთავრობის ყმა და თვითონ უპატრონებს თავის თავს, მაგრამ რას არგებს კაცს მარტო თავისუფლება, თუ წელში გაწყდება უზომო მუშაობისაგან, თუ მის ნაშრომს სხვა მიითვისებს, თუ მუშა ხალხი იმუშავებს და ნახევრად მშიერი იქნება, მაშინ, როდესაც მდიდრები არაფერს გააკეთებენ და მუდამ ლხინი ექნებათ? რას არგებს გლეხს მარტო ერთი მიწა, რადგან მიწა მხოლოდ პურს აძლევს, სხვა საჭირო საქონელი კი ვაჭრისაგან, მექარხნე-მეფაბრიკესაგან უნდა იყიდოს? უნდა იყიდოს ტანისამოსი, ფეხსაცმელი, იარაღი, ჭურჭელი, ოჯახის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყველაფერში ამაში ერთი ორად და ერთი სამად უნდა გადაიხადოს ფასი, უნდა გა-

დაიხადოს, მაგრამ ამდენ ფულს ვერ მისცემს მიწის მოსავალი, და გლეხი ვერასოდეს ვერ დაიკმაყოფილებს ყველა თავის საჭიროებას.

მიწა საზოგადო იქნება, ყველას შეუძლია ისარგებლოს მიწით, იმუშაოს მიწაზე, მაგრამ ყველა ერთნაირად ვერ დაამუშავებს; შეძლებული, მოხერხებული გლეხი, რომელსაც მეტი უღელი ხარი ეყოლება, უკეთესი იარაღი ექნება, უკეთესად დაამუშავებს მიწას და მეტსაც მოიყვანს. მართალია, მარტოხელა და ღარიბ გლეხებს შეუძლიათ შეერთდეს და ერთად დაამუშაონ მიწა, ერთად შეიძინონ საუკეთესო იარაღი და თესლი, მაგრამ ამითაც არ მოისპობა უთანასწორობა. გლეხს თავისი ჭირნახული ქალაქში გააქვს გასაყიდად, მის ნაწარმოებს უმთავრესად ქალაქის მუშა ხალხი ყიდულობს და ხმარობს, ეს მუშა ხალხი კი გლეხსავით დაჩაგრული და გაყვლეფილია, გაღატაკებულია, მისი ნაოფლარით სხვები — მდიდრები სუქდებიან და თვითონ მას იმდენილა რჩება, რომ შიმშილით არ მოკვდეს. რაც უნდა საყოფი ჰქონდეს გლეხს მიწა, რაც უნდა კარგი მოსავალი მისცეს მიწამ, ეს მაინც არ ეყოფა გლეხს და მის ოჯახს, რადგან ამ შემოსავალს ათასი პატრონი ჰყავს. ამას გარდა ყველა სოფლელი, ყველა გლეხი მიწის მუშა არ იქნება, ზოგი ქალაქში წავა ფაბრიკა-ქარხანაში სამუშაოდ, ერთი შვილი რომ მიწაზე დარჩება, მეორე ფაბრიკაში იმუშავებს და ეს ქალაქში წასული დაჩაგრული იქნება ქალაქელ მეფაბრიკესაგან.

ამიტომ, გლეხს რომ მიწა ექნება, ეს დიდად გააუმჯობესებს მის მდგომარეობას, ის ღალას არ გადაიხდის მემამულეს სასარგებლოთ, მაგრამ ეს მაინც ვერ იხსნის მას მდიდრების კლანჭებისაგან, მდიდარი მაინც დასჩაგრავს გლეხს; სოფელი ქალაქისაგანაა დამოკიდებული, ქალაქი — სოფლისაგან და სოფელში რომ მიწას კერძო საკუთრება მოისპობა, ეს კიდევ ვერ დაამყარებს სამართლიანობას. გლეხის დაჩაგვრა და გაყვლეფა სრულიად მაშინ მოისპობა, როცა კერძო საკუთრება მოისპობა ქალაქშიაც, მოისპობა ქარხნების, ფაბრიკების, რკინის გზების და სხ. საკუთრება, ერთის სიტყვით გლეხობა და საერთოდ მთელი მუშა ხალხი მაშინ ეღირსება ბედნიერ ცხოვრებას, როდესაც ქვეყნად დამკვიდრდება ერთობა-სოციალიზმი, როგორც სოფელში, ისე ქალაქში.

მაშ ახლო ვნახოთ, რა არის ეს სოციალიზმი-ერთობა, როგორი წესები და ცხოვრება იქნება სოციალიზმის დროს? მაგრამ ჯერ ერთი ის ვიკითხოთ, რანაირი წესებია დღეს? რისგან წარმოსდგა ის უსამართლობა და უთანასწორობა, რომელიც გამეფებულია დღეს ყველგან, როგორ არის, რომ ვინც მეტს მუშაობს, ის ღარიბია, ვინც არ მუშაობს — ის მდიდარია? ამის მიზეზია დღევანდელი წარმოება. დღეს წარმოება ისეა მოწყობილი, რომ მცხოვრებთა დიდს უმრავლესობას ალარ გააჩნია საწარმოვო იარაღი, არ გააჩნია არც მასალა, არც იარაღი, რომ საქონელი გაიკეთოს. მაგალითად, ტილო რომ მოვამზადოთ, ამისთვის საჭიროა ძაფი, საქსოვი მანქანა, ბინა, სხვა და სხვა მოწყობილობა, ამის შესაძენათ ფულია საჭირო. ფული კი მუშა ხალხს, უმრავლესობას არა აქვს. რაც ქვეყანაზე სიმდიდრეა — მაღაზიებში, სახლებში, რაც რკინის გზებია, ხომალდები, სულ მუშა ხალხის შექმნილია, შრომის ნაყოფია. მაგრამ შრომა თავის თავად ვერას გააკეთებს, თუ მშრომელს ხელში არ ექნება საჭირო მასალა და იარაღი. მიწის მუშა, რაც უნდა მშრომელი იყოს, ვერაფერს დაამზადებს, თუ არ ექნება მიწა, თესლი, იარაღი, თუ არ ეყოლება ხარ-კამეჩი. აგრეთვე ქალაქის მუშაც ვერას გახდება რა თავის მკლავებით, რაც უნდა ოფლი ღვაროს, თუ არ ექნება ქარხანა და საჭირო მასალა. მიწა, მადნები, ქარხნები, ფაბრიკები, მასალები და სხვა, რაც კი საჭიროა საქონლის გასაკეთებლად, ყველაფერი ეს მდიდრებს-მემამულეებს, მექარხნეებს და მეფაბრიკეებს დაუსაკუთრებიათ, ერთ მუ-

ჭა მყვლეფელებს და მუქთახორებს ჩაუგდიათ ხელში. მცხოვრებთა უმრავლესობა კი დარჩენილია უიარაღოთ, უმასალოთ, უქარხნოთ, უმიწოთ. რა უნდა ქნან ამათ, რითი უნდა ირჩინონ თავი? უნდა მივიდენ მემამულეებთან, მექარხნე-მეფაბრიკეებთან, დაექირაონ მათ, იმუშაონ მათ მიწაზე და ქარხანაში. ვისაც მიწა და ქარხანა აქვს, ის რასაკვირველია, დაიქირავებს უმიწოს და უიარაღოს, მას სჭირია მუშები, რომ მასალა დაამუშავებიოს, საქონელი გააკეთებიოს და მერე ბაზარში გაიტანოს გასაყიდათ, ფული მოიგოს. მაგრამ მემამულემ თუ მექარხნემ კარგად იცის, როგორ გაჭირვებულია უიარაღო და უმიწო კაცი, რომ შიმნილით მოკვდება, თუ სამუშაო არ იშოვნა; ამიტომ რაც შეიძლება ნაკლებ ქირას აძლევს მუშას, რაც შეიძლება მეტს ამუშავებს და მერე მუშის გაკეთებულს საქონელს ყიდის და ორჯელ და სამჯერ მეტს ფასს იღებს, ვიდრე მისცა მუშას ქირად.

აი, ამიტომ მდიდრები — მემამულეები და მექარხნე-მეფაბრიკენი ქირაობენ მუშებს, ყიდულობენ მათ შრომას, ძალ-ღონეს, აკეთებინებენ მათ ორჯელ-სამჯერ იმაზე მეტს, რაც ულირთ მათი შრომა. ამიტომაა, რომ მუშას არ ეკუთვნის მთელი თავის შრომის ნაყოფი. ამიტომაა, რომ ქვეყანაზე უთვალავი სიმდიდრეა, მაგრამ ამ სიმდიდრით სტკბება ერთი მუჭა მექარხნე და მემამულე, მცხოვრებთა დიდი უმრავლესობას კი, მას, ვინც დღე და ღამ მუშაობს, ხშირად არ მოეპოვება საჭმელ-სასმელიც კი. ამიტომაა დედამიწაზე ათასნაირი ქურდობა, ავაზაკობა, გარყვნილება. სიმდიდრე მატულობს ყოველ დღე, მაგრამ ეს სიმდიდრე მიდის მუქთახორების ჯიბეში, ხალხი კი მშიერია, შიშველია და სადაც შიმშილია, იქ ყოველნაირი უბედურობაა გაბატონებული.

მუშა ხალხი (გლეხობა და ქალაქის მუშები) გაყვლეფილია იმიტომ, რომ მდიდრებს ხელში ჩაუგდიათ მიწა, მადნები, ქარხანა-ფაბრიკები, ხელში ჩაუგდიათ საწარმოო იარაღები. მაშასადამე, რომ მოვსპოთ ეს გაყვლეფა, უნდა ჩამოვართვათ მდიდრებს საწარმოო იარაღები და გადავსცეთ მუშა ხალხს; რაც კი საწარმოო იარაღია, იქნება ეს მიწა, მადნები, ქარხანა, ფაბრიკა, რკინის გზები თუ სხვა — უნდა იყოს საზოგადო და ყველა მუშა უნდა სარგებლობდეს, ყველას უნდა შეეძლოს თავისუფლად მუშაობა და მისი შრომის ნაყოფი უნდა იყოს მთლად მისი. არ უნდა იყვნენ — ერთის მხრით მექარხნე-მეფაბრიკეები ⁄ მემამულეები, მეორეს მხრით — მუშები, ერთის მხრით ჩაგრული, მეორეს მხრით — მჩაგვრელი, არ უნდა იყოს კაცის დაქირავება, არამედ ყველა უნდა მუშაობდეს, მუშაობა უნდა იყოს საზოგადო.

სოფელში

—:—

ცხელა. სოფელი მიდუმებულა,
არსად არ ისმის ურმის ჭრიალი;
ძნა არსადა ჩანს კალოს პირზედა,
მინდორი დარჩა ოხერ ტიალი!

—

„მუშაობ, მაინც მშიერი რჩები,
არა მუშაობ, უარესი ხარ,
ის არი უფრო ფუფუნებაში,
ვინც მკის, სადაც არ დაუთესია!“

—

ასე ფიქრობდა მამა წვრილშვილი,
ორთითს ხელებით ის დაყრდობოდა,
მისი ბაწია, თვალ ცრემლიანი
დედას მშიერი ლუკმა პურს სთხოვდა.

—

„მოიცა, შვილო, ეს მწარე ბედი
მალე ტანჯულებს დაგვავიწყდება,
მალე ან ტყვია გულს გამიგმირავს,
ან და სახნავათ მიწა მექნება!

—

„მოიცა, შვილო, — ქვითინებს მამა,
მალე ცრემლები მომეწმინდება,
ან პურს მოვიტან ოჯახისათვის,
ან ბრძოლის ველზე დამეძინება!

—

„კაცი გავგზავნეთ ხელმწიფესთანა,
შემოგვითვალა იმან უარი,

მაგრამ სოფელი აღზდგა, აზვირთდა,
იქით გვეძახის სამრეკვლოს ზარი!

— —

„რა დამრჩენია! გავალ ძმებთანა,
იქ დაგვიხვდება ჩვენ ხალხის მტერი,
დეე გამგმიროს ისევ ტყვიამა,
ვიდრე ცოლშვილი ვნახო მშიერი!

—

„ნუ, ნუ სტირი, ჩემო პატარავ,
ხვალე სვე-ბედი გადაგვიწყდება,
ან ცხელი ტყვია გამირბენს გულში
და ან სახნავი მიწა გვექნება!“

ი. ჯაფარიძე.

საუბარი გლეხებთან

ვისი ბრალია?

წინა წერილში მე ვგიწერეთ გლეხების მდგომარეობა და მუდმივი გაჭირვება.

ახლა მე გეკითხებით, ვისი ბრალია ეველაფერი? წინდაწინვე ვიცი თქვენი პასუხი: თქვენ მეტყვით, მემამულეების ბრალია.

მე კი გიპასუხებთ: ეველაფერი თქვენი ბრალია. მემამულეები თავიანთ თავისთვის ცდილობენ და სარგებლობას ეძებენ. ეს ბუნებრივი მოვლენაა: ეველა თავისთვის ზრუნავს.

მემამულეები სოფელში თქვენისთანა კაცებს ეძებენ. თქვენ მიდიხართ მათთან და ისეთი პირობებით იღებთ მიწას, რომ მემამულე მოგებაში რჩება, თქვენ კი ორიოდე გროშისთვის დილიდგან საღამომდის მუშაობთ. თქვენ რომ მემამულეების ადგილზე ეოფილიყავით, განა ისე არ მოიქცეოდით, როგორც მემამულე იქცევა? ვინმე თქვენგანი რომ უპატრონოთ მოიქცეს, თავის მეზობლების გაჭირვებით ისარგებლოს და გამდიდრდეს, განა ეს კაცი გაირჩევა რითიმე ახლანდელ მემამულეებისაგან?

არაფრითაც არ გაირჩევა. ახლა ცხადია, რომ არ შეიძლება მემამულეების დევნა მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი თავიანთვის ზრუნავენ და ისე იქცევიან, როგორც თქვენ მოიქცეოდით იმათ ადგილზე.

თქვენ რომ ტეტხლთან მიხვიდეთ და ნაკვერჩხლში ჩაყოთ ხელები, ვისი ბრალი იქნება თქვენი დაწვა? რასაკვირველია, თქვენი. ტეტხლს ბრალი არ უდევს. ნუ ჩაჭყობდით ტეტხლში ხელებს და არ დაიწვებოდით.

თქვენ რომ წყალში შეტურდეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკაბოდეთ, განა წყალი იქნება დამნაშავე? არა, აქ წყალი არ არის დამნაშავე. თქვენი დახრჩობა ისევ თქვენი ბრალი იქნება, რადგან ჯერ ცურვა უნდა გესწავლათ და მერე ისე შესულიყავით წყალში.

სწორედ ესევე ითქმის თქვენსა და მემამულეების პირობებზე. თუ მიწის იჯარა თქვენთვის საწყეირო არ არის, მემამულეს ახლა ნუ მიეკარებით; თუ მოჯამაგირეთ დადგომა თქვენთვის საზარალოა, ნუ დადგებით; თუ ვენახის ადება საწყენელია თქვენთვის საზარგებლო არ არის, ნუ იღებთ.

მაგრამ თუ თქვენ ამას არ სჩადიხართ და მემამულეს მოჯამაგირედაც უდგებით, ვენახსაც იღებთ საწყენელად და საზარგებლოსაც — ეს ისევ თქვენი ბრალია.

ქიშპობა უნდა მოისპოს

ახლა ვიკითხოთ, რად არის თქვენთვის საჯარო და სხვა პირობები მძიმე და საზარალო?

იმიტომ, რომ თქვენ ისე იქცევით, რომ ეს პირობები თქვენთვის უეჭველად, აუცილებლად საზარალო უნდა იყოს.

თქვენ სიტყვით ნამდვილი ქრისტიანები ხართ და გწამთ ძმობა, ერთობა და თანასწორობა. ნამდვილად კი თქვენ მტრებსავით ერთმანეთს ებრძვით, ეჭიშპებით, ემტერებით და ის კი არ იცით, რომ მიზეზი თქვენი დაჩაგვრისა და უბედურებისა არის ერთმანეთის შუღლი, ქიშპობა ჯაბრი.

ამა ერთი ეური დამიგდეთ და მერე თქვენთვითონ გამოტუდით, მართალს ვამბობ თუ არ.

ვთქვათ, თქვენ მოჯამაგირედ უდგებით ბატონს. ამ დროს თქვენ მხოლოდ იმას ცდილობთ, რომ რაგორმე ადგილი იშოვოთ, მაგრამ ეს რადაც არ მოგდით თქვენი ამხანაგები და მეზობლები. ვთქვათ, თქვენ წვრილშვილების პატრონი ხართ და ცოლვრებს გიჭირთ. თქვენ ბატონს ეველაფერს თხუთმეტ თუმანს სთხოვთ. ამ დროს მეორე გაჭირვებულიც მოდის და ბატონს ეუბნება: მე წელიწადში თოთხმეტ თუმნათ დაგიდგები, მესამეც მოდის და ეუბნება, მე ათ თუმნათაც მსახურობა. ვის აიყვანს მოჯამაგირედ ბატონი? რასაკვირველია, იმას, ვინც ნაკლებს თხოულობს. ბატონი არ სტეუის. რად მისცემს ის თხუთმეტ თუმანს, როცა მეორე იმავე საქმეს ათ თუმანს კისრულობს.

აი ეს არის მიზეზი იმისა, რომ მოჯამაგირეების დაქირავება ისე გაიაფდა, რომ ისინი სიმშილით იხოცებიან.

ეხლა მეორე მაგალითი ავიღოთ. ვთქვათ, ვინმე თქვენგანს ვენახის აღება უნდა სანახევროდ. ვენახის პატრონთან მეორე მებაღე მიდის და ეუბნება, ყურძნის გარდა ხილსაც მუაზე გაგიყოფთ, თივასაც და ჭირნახულსაცაო. მესამე მებაღეც მიდის და უფრო კარგ პირობებს უდებს ვენახის პატრონს. ვის უნდა მისცეს ვენახი იმისმა პატრონმა? რასაკვირველია, იმას, ვინც უფრო მისთვის ხელსაყრელია.

ავიღოთ თუნდ სახნავი მიწებიც. აქაც თქვენ ერთმანეთს კრიჭაში უდგებით, ეჯიბრებით, ექიშპებით და თქვენივე ხელით ითხრით საფლავს. ვთქვათ, ორი წლის წინად ერთმა გლეხმა ბუჩქნარი აიღო ბატონისგან, გაწმინდა, მოხნა და კარგ მიწად გადააკეთა. წლეულს ამ კაცს ვადა გაუვიდა. მეორე კაცი მოდის მებატონესთან და ეუბნება, ის კაცი იმ მიწაში თუმანს გაძლევთ, მე კი თხუთმეტ მანეთს მოგცემთო. მესამეც მოდის და ამბობს, მე ოც მანეთს მოგცემო. მებატონე ამ მიწას იმ კაცს ართმევს, რომელმაც მის გაკეთებაში წელი მოიწყვიტა და იმას აძლევს, ვინც ოც მანეთს იძლევა.

განა აქედგან ცხადი არ არის, რომ თქვენი გაღარიბება ისევ თქვენი ბრალია? განა ცხადი არ არის, რომ მოჯამაგირეების მცირე ჯამაგირი, საიჯარო მიწების სიძვირე და მენახევრეების მძიმე პირობები ისევ თქვენი ბრალია, რომ ამაში ისევ თქვენა ხართ დამნაშავე?.

საჭიროა მოსპობა ქიშპობის, ჯიბრისა და შუღლისა. თქვენ ერთმანეთს ხელი უნდა ჩაჰკიდოთ, ზურგი გაუმაგროთ და შეერთებულის ძალით დაიწყოთ ბრძოლა და მუშაობა თქვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რა გააკეთეს სხვა მუშებმა?

მე გითხარით, რომ ქალაქის მუშები თქვენზე უფრო კარგათ ცხოვრობენ მეთქი.

ეხლა ვიკითხოთ, რისგან მოხდა ეს? იქნება თქვათ, იმიტომ მოხდა, რომ ქალაქელი კაპიტალისტები (ფულიანი კაცები) სოფლის კაპიტალისტებზე უფრო გულკეთილები და სათნოიანები არიანო.

სრულიადაც არა! აკი გითხარით, რომ ყველა თავისთვის ზრუნავს მეთქი და ქალაქელი კაპიტალისტებიც არაფრით განირჩევიან სოფლის მემამულეებისაგან. ყველა იმას ცდილობს, რომ რომელიმე სამუშაოს გაკეთებაზე რაც შეიძლება ნაკლები დახარჯოს და რაც შეიძლება მცირე ჯამაგირი მისცეს თავის მუშებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ქალაქელი მუშა უფრო განვითარებული და გამოცდილია. თქვენ, გლეხები, მზად ხართ ორიოდე გროშისათვის დილიდან საღამომდის იმუშავოთ, ქალაქელი მუშები კი თავიანთ თავს აფასებენ და ასეთ სამუშაოს ხელსაც არ მოჰკიდებენ.

ეხლა გეკითხებით, რატომ თქვენც ისე არ იქცევით, როგორც ქალაქელი მუშები იქცევიან? განა თქვენ ისეთივე ადამიანები არა ხართ, როგორც ქალაქელები? ლაპარაკი არ უნდა, რომ თქვენც ადვილად შეგიძლიანთ ქალაქელ მუშებს აჰყვეთ და ცხოვრება გაიუმჯობესოთ. ევროპაში რამდენიმე პატარა სახელმწიფოა: შვეიცარია, ჰოლანდია, დანია და ბელგია. იქაურმა გლეხებმა ქალაქის მუშას მიჰბაძეს, შეერთდნენ, ხელი ხელს მისცეს და ისეთი ცხოვრება მოიპოვეს, რომ თქვენ სიზმრადაც არ მოგეჩვენებათ. ინგლისის გლეხი ყოველ დღე ხორცსა სჭამს და საზოგადოთ კარგად ცხოვრობს. ავსტრალიელი გლეხები ინგლისელებზედაც კარგათ ცხოვრობენ.

თქვენ კი? ვაი თქვენ ცხოვრებას! იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოაწყოთ თქვენი ცხოვრება და რა გზას დაადგეთ, შემდეგ წერილში მოგილაპარაკოთ.

მეხი.

გლეხის წერილები

იმ წინაზე დაგპირდით, შემდეგ წერილში მღვდლებზე და ბერებზე მოგელაპარაკებით მეთქი.

მღვდელს რომ ჰკითხო, ის ქრისტეს მოციქულია ამ ქვეყნად. ის ამბობს, ეკლესია და სარწმუნოება ხალხს სულიერ საზრდოს აძლევს და ამ ქვეყნად სიყვარულსა და ერთობას ქადაგობსო. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ ეხლანდელი ეკლესია და სამღვდელოება მთავრობის მოსამსახურეა და ყველაფერში ისე იქცევა, როგორც მთავრობა უბრძანებს. მთავრობა სარგებლობს ხალხის გაუნათლებლობით, რწმენით და ცდილობს, რომ ხალხმა მხოლოდ საიქიოზე იფიქროს და იზრუნოს, სააქაოზე კი შენ მაგივრად მე ვიფიქრებო. ასე ამბობს მთავრობა, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით მისი ზრუნვა.

დავიწყოთ ეკლესიებიდან. მთელ ქვეყანაზე იმდენი ეკლესია არსად არის, რამდენიც რუსეთშია. მარტო ერთ ქალაქს მოსკოვში ათასზე მეტი მონასტერი და ეკლესიაა. მაგრამ ამას ვინ ჩივის? ჩვენ იმას ვჩივით, რომ მთავრობა ტყუილ უბრალოდ ფლანგავს ხალხის ფულს ძვირფას ეკლესიების აშენებაზე. რუსეთში ბევრია ისეთი ეკლესია, რომელიც რამდენიმე მილიონი დაჯდა. ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე რომ სობოროა აშენებული, ის ნახევარ მილიონი ღირს. მაგრამ ერთი ვკითხოთ ამ ეკლესიების ამშენებლებს, რათ უნდათ მარმარილოს კედლები, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხატები, ოქროს ბარძიმ-ფეშხუმი და სახარება? განა ქრისტე ასეთ ძვირფას შენობაში ლოცულობდა? რათ უნდათ მღვდლებს ათას და ათი ათას მანეთიანი სამოსელი? განა ქრისტეს ისე უბრალოდ არ ეცვა, როგორც ყველას? მღვდლებს რომ ჰკითხო, ძვირფასი მორთულობა და ძვირფასი ეკლესია მლოცველს სასოებას უმატებსო. ჩვენი აზრით ეს ფართი-ფურთი, ბჟყვრიალა ზიზილ-პეპელოები და ძვირფასი მორთულობა ხალხის თვალის მოსატაცებლად არის მოგონილი. აი ამაზე ხარჯავენ წვითა და დაგვით შეგროვილ ხალხის ფულს.

არქიელები და დიდრონი მღვდლები წელიწადში რამდენიმე ათას მანეთს იღებენ, მშვენიერ სასახლეებში ცხოვრობენ და ძვირფას ეტლებით დადიან. ერთი ჰკითხეთ ამ სულიერ მამებს, ვისა ჰბაძავენ ისინი? ქრისტესაო, გეტყვიან, მაგრამ როდის ცხოვრობდა ქრისტე ხალიჩებით მორთულ სამ სართულიან სახლებში, როდის ჰყავდა ქრისტეს ათი ხელზე მოსამსახურე, როდის დადიოდა ქრისტე მშვენიერ კარეტებით? ზოგი არქიელია, ბანკებში ათასობით უწყვია, მაგრამ აბა ერთი მიდი იმასთან და შველა სთხოვე! ის მაშინვე საიქიოს გაგისტუმრებთ და მომავალ ცხოვრებით განუგეშებთ. ქალაქ კიევში ერთი მონასტერია, რომელსაც ასი მილიონის შეძლება აქვს, მაგრამ ამ ეკლესიას დღემდის დამშეულ გლეხებისათვის კაპეიკიც არ მიუცია. საიდან მიიღო იმ მონასტერმა იმოდენა ფული? ხალხიდან, მლოცავებიდან, მაგრამ ჰკითხეთ იქაურ ბერებს, რატომ არ ეხმარებიან გაჭირვების დროს იმ ხალხს, რომელმაც იმოდენა შეძლება მისცა მღვდლებსა და ბერებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ყველაფერი იყიდება: პურ-ეღვინო, საცმელი, საჭმელი, თივა, ქერი, მარილი, ლოცვა, კურთხევა, პანაშვიდი, პარაკლისი და წირვა. თუ მღვდელს ერთი მანეთი არ მიეცი, პანაშვიდს არ გადაიხდის; თუ თუმანი ან ხუთი მანეთი არ მიეცი, ჯვარს არ დაგწერს, შვილს არ მოგინათლავს, ჭირნახულს არ გიკურთხებს და შენთვის არ ილოცავს. თუ ბევრი ფული გაქვს, თუ მდიდარი ხარ და ყოველ დღე მღვდელს თითო თუმანი აძლიე, დილიდან საღამომდის შენი სულისთვის ილოცავს და ღმერთს თავს მოაბეზრებს. თუ მდიდარი ხარ და მღვდელმა და არქიელმა ყოველ დღე შენთვის სწირეს, ღმერთი მათ ლოცვას შეისმენს, ცოდვებს გაპატიებს და საიქიოს სამოთხეში ადგილს დაგიმზადებს. როგორც ხედავთ, ცხონება და ცოდვების მოტევებაც ფულით იყიდება. მაგრამ თუ ღარიბი ხარ და მღვდელს ყოველ დღე ღმერთს არ შეაბრალებინე შენი ტანჯული და წამებული სული, მაშინ უეჭველად ჯოჯოხეთში შეხვალ.

ასეა ამ ქვეყნად: მდიდრებს ეხლავე ჰპირდებიან ცხონებას, ღარიბებს კი — სულის წაწყმენდას.

როგორც ხედავთ, სამღვდელოება მდიდრების მოსამსახურე ყოფილა, რადგან იგი მარტო მდიდრებისათვის და ძლიერებისათვის ლოცულობს. მაგრამ წელან მე ისიც გითხარით, რომ სამღვდელოება მთავრობის მოსამსახურეც არის მეთქი. ამას წინად სევასტოპოლში დახვრიტეს აფიცერი შმიდტი, რომელმაც ჯარი ააჯანყა მთავრობის წინააღმდეგ. მთავრობამ მთელ რუსეთის მღვდლებს ბრძანება გაუგზავნა, შმიდტის სულის მოსახსენებლად პანაშვიდის გადახდა არ გაბედოთო. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ სამღვდელოებას აუკრძალა ლოცვა იმ კაცისთვის, რომელიც მას არ მოსწონდა. ის აღარ ეკითხება ქრისტესა და მათ მოციქულებს მღვდლებს, ღირსია თუ არა შმიდტი ცხონებისაო. ის ბრძანებას იძლევა, აკრძალულია შმიდტის ცხონებაო. სამღვდელოებაც დაემორჩილა მთავრობის ბრძანებას და შმიდტისათვის არ ილოცა, მაგრამ შმიდტი ისედაც წმინდაა ხალხის თვალში და

უპანაშვიდოდაც არ დაივიწყებს მას მთელი რუსეთი. მთავრობა ასე ექცევა ხალხისათვის დახოცილ წმინდანებს და სამღვდელოებაც ყურმოჭრილ მონასავით ემორჩილება მას.

მღვდლები მოვალენი არიან არავის აღსარება არ გასცენ, მაგრამ მათ მთავრობისაგან ნაბძანები აქვთ გასცენ ის კაცი, რომელიც აღსარებაზე იტყვის, რომ მე მთავრობის წინააღმდეგი ვარო. მღვდლებიც ასრულებენ ამ ბრძანებას, ხოლო ის მღვდელი, რომელიც უფრო ხშირად აბეზღებს აღსარების მთქმელს, ჯილდოს იღებს მთავრობისაგან. მას უფრო კარგ მრევლს აძლევენ და თავზე ხელს უსვამენ.

მღვდელი მთავრობის ყურმოჭრილი მონა უნდა იყოს, მაგრამ თუ გაბედა და გამოაცხადა, რომ მთავრობა უსამართლოდ იქცევა, რომ ეკლესია მთავრობას არ უნდა ემორჩილებოდეს, მას მაშინვე ან გაჰკრიჭავენ, ან სადმე ცივ ქვეყანაში გაგზავნიან „ცოდვების მოსანანებლად“, ან დაიჭერენ და ციხეში ამოალპობენ. სახელმწიფო სათათბიროში ხალხმა რამდენიმე მღვდელი გაგზავნა თავის წარმომადგენლად. მღვდლები გულადათ მოიქცენ და მთელ ქვეყანას შეატყობინეს მთავრობის ვერაგობა და უსამართლობა. მაგრამ დაითხოვეს თუ არა სათათბირო, მღვდლებიც დაიჭირეს და სიმართლის თქმისათვის ციხეში ჩასვეს. მაგრამ რა საჭიროა შორს წასვლა? საქართველოში რამდენიმე მღვდელი დაიჭირეს წრეულს და გაგზავნეს ციმბირში და ვინ იცის კიდევ რამდენს გაგზავნიან! იცოდეთ, რომ თუ მთავრობამ რომელიმე მღვდელი დაიჭირა, ან დასაჯა, იმ მღვდელს სინდისი კიდევ უნდა ჰქონდეს შერჩენილი. ტყუილ უბრალოდ მთავრობა მღვდელს არ დაიჭერს, არ გაუწყრება და ანაფორას არ გახდის.

ეხლა მოკლედ გეტყვით როგორ უნდა მოექცეს ხალხი სამღვდელოებას და ეკლესიას. ჩვენ ვთხოულობთ ეკლესიის განშორებას სახელმწიფოსგან. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და მთავრობა სრულიად არ უნდა ჩაერივნენ ეკლესიისა და სარწმუნოების საქმეში. სამაგიეროდ არც ეკლესია და არც სამღვდელოება უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეში. სამღვდელოება და ეკლესია უნდა შეინახონ იმათ, ვისაც სწამთ ღმერთი და ეკლესია. ვთქვათ, ერთ სოფელში ას კაცს სწამს ღმერთი, ათ კაცს კი არა სწამს. ასმა კაცმა უნდა აირჩიონ მღვდელი და ისე მოაწყონ ეკლესიის საქმე, როგორც მათ უნდათ, ათ ურწმუნო კაცს კი ძალა არ უნდა დაატანონ რწმენაში. ყველამ ის ღმერთი უნდა ილოცოს, რომელიც მას სწამს, ყველამ ისე უნდა ილოცოს, როგორც მისი სურვილი იქნება. მთავრობას ძალიან უნდა ქართველებისა და სხვა ერების გარუსება, ამიტომ ის უბრძანებს ქართველ მღვდლებს, რომ მათ რუსულად სწირონ. ვითომ რაო, ღმერთს ქართული არ ესმის და რუსული კი ესმის? მთარობამ მშვენივრად იცის, რომ ეს სისულელეა, მაგრამ ის ამას არ დაგიდევს, ოღონდ თავისი ბინძური საქმე გააკეთოს.

მაშ ესე: ჩვენ ვთხოულობთ რწმენის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის განშორებას სახელმწიფოსგან და ვუკრძალავთ მთავრობასაც და სამღვდელოებასაც ერთმანეთის საქმეში ჩარევას.

მთავრობა განაგებს სამღვდელოებას, ეკლესიას, სარწმუნოებას; მთავრობა აშენებს ეკლესიებს და მონასტრებს; მთავრობა ყველას ღმერთის რწმენას, ლოცვას და ეკლესიაში სიარულს უბრძანებს, მაგრამ ამავე მთავრობას არც ღმერთი სწამს, არც ეკლესია, არც სამღვდელოება, არც ლოცვა და არც სულის ცხონება.

ქართლელი გლეხი.

ხალხის ფული

(ხარჯები)

II.

წინა წერილებში ვთქვით, რომ მთავრობა ხალხს ორპირს ტყავს გაძრობს ე. ი. ორნაირ ხარჯს გვახდევინებს მეთქი და მართალიცა ვთქვი.

აბა მაშ ვნახოთ, როგორ გვაძრობენ ორნაირად ტყავს გამხდარს ტანზედ.

ერთნაირ ხარჯს ყველა ჩვენგანი ნათლად ხედავს, მთავრობა პირდაპირ, აშკარად გვახდევინებს და ხალხიც ამ ხარჯს ეძახის „სახელმწიფო ხარჯს“

ეს ის ხარჯია, რომელიც „ოკლადნოი ლისტების“ ძალით უნდა გადავიხადოთ. რის გულისთვისაც სოფელი კაცებს ამოირჩევს ხოლმე გასაწერად. თუმცა ამ „ლისტით“ ყველა გლეხს ერთნაირად აწერია, მაგრამ რომ უფრო მეტი სამარ-

თდიანობა დიცვან, ამორჩეულებს დაავალებენ ხოლმე: შეხედულობაზედ შეაწერეთ ეველა ჩვენგანსაო, ე. ი. როგორც მიცნობდეთ, ისე შემომაწერეთ; თუ იცით, რომ მეტი შეძლების მქონე ვარ, მეტი შემომაწერეთ და თუ უქონელი ვარ, ძალიერ მცირეო.

თუმცა ასე ავალებენ ორჩეულებს, მაგრამ მამასახლისის და სხვა ორიოდე ბობოლას წაეალობეთ ხარჯის განაწილება დიდს აურ-ზაურს გამოიწვევს ხოლმე სოფელში.

ჩვენებური მედუქნე ისე დუქნის დარაბას ვერ ჩამოსხნის ბირველ იანვრისთვის, თუ ხარჯი შეტანილი არა აქვს წინადადოთვე და მოწმობა ხელში არ უჭირავს. თორემ მოვა აქციზის მოხელე და დუქანსაც დაუგეტავს და თითონ მედუქნესაც ვირის ბანაში ჩაბძანებს.

თუ ვისმე ჩვენგანს ერთი — ორი დესეტინა მამული შეუძენია თავადიშვილისაგან მამასისხლად, ის მამული მაშინ გლეხის სკუთრებად ითვლება. იმაზედ კიდევ ცალკე უნდა ახადო ხარჯი, სოფელიც შემოგაწერს, ისე არ გაგიშვებს და სამართლიანიც იქნება, მაგრამ მთავრობაც ხელს ითბობს და გიგზავნის შენ კიდევ ცალკე „ოკლადნოი ლისტს“! თუ თავის დროზე არ შეიტანე და ტოტა დაიგვიანე, ჯარიმებსაც წაიმოგაწერს, ის რასა ზარალობს!

ეი ასეთი ხარჯები — მთავრობის სასარგებლოდ გადახდილი — არის ბირდებირი გადასახადი.

ამ ნაირს ხარჯს თითქმის ეველა ვიხდით, მაგრამ დიდი განსხვავება არის. გლეხს უფრო დიდი ტოლი აქვს დადებული, გლეხი უფრო მეტს იხდის, ვიდრე სხვები — თავადი, მექარხნე და სხ.

მაგრამ ამ განსხვავებაზედ მერე იყოს. ბირდებირ გადასახადის გარდა არის კიდევ უფრო დიდი ხარჯი — არა ბირდებირი, დამალული, შეუმჩნეველი. ეი ეს ჩუმი ხარჯი გვიწევლების ქისას ეველას, ვისაც უიმისოდაც ძალიან ტოტა უჭევეის ჯიბეში. ეს ხარჯი მთელს ხალხს უზარმაზარ მაჯალაჯუნასავით დასწოლია და სიტოტხლეს უმწარებს.

მერე რა არის ეგეთი, რომ ვერ კი ვხედავთ და ეგრე შეეუწუხებიავართო? გაოცებული მკითხავს მკითხველი, რომელიც ვერ იცნობს სექმის ვითარებას.

ვინ გვახდევინებს მაგ ხარჯს? მოამძახის იმისთანავე მკითხველი. ჯერ იმას გეტეეთ, ვინ გვახდევინებს, როგორ, რაში და მერე თავისთავად გაიგების ეველა, თუ რა უჯმაჯურიც ეოფილა ეგ ჭირი.

არა ბირდებირ გადასახადს ჩვენ ხარჯის მგრეფავებს კი არ ვაძლევთ, — არც სხვა ჩინოვნიკებს, — მოხელეებს, არამედ ვაჭრებს, მექარხნეებს, მეფაბრიკეებს. ეი როგორ: მე ვიეიდე, ვთქვათ, სულ უბრალო რამ — სპიჩკა. მივეცი კოლოფში კაბეიკ ნახევარი. ვაჭარი უფრო იაფადაც მოგცემდა (აკი შარშანდელამდის თითო კოლოფი თითო კაბეიკად დიოდა), მაგრამ მექარხნემ იმასაც მეტი გადახდევინა. წინათ ათი კოლოფი შვიდი კაბეიკი დიოდა, ესლა კი ათი კოლოფი თერთმეტი კაბეიკი დიოს; წინათ თითო კოლოფი ვაჭარს კაბეიკზედ ნაკლები უჯდებოდა, ესლა კი კაბეიკზედ მეტი უზია. თითონაც ხარჯი უნდა, ასე რომ კაბეიკ ნახევარზედ ნაკლებს კოლოფში ვაჭარი ვერ იიღებს უზარალოდ.

მექარხნემ რადად დაადვინა, იკითხავთ. ეი ძალიან თავიც აქ არის დამარხული. მექარხნემ იმიტომ დაადვინა, რომ მთავრობამ მეტი აქციზი გადახდევინა მექარხნეს კოლოფზ სპიჩკაში. წინათ მთავრობის სასარგებლოდ თუ ნაკლებს იხდიდა მექარხნე, ესლა მოგვალეა, ბძანების ძალით, ნახევარ კაბეიკი იხადოს კოლოფ სპიჩკაში და მაირთვას გუმაძალარს ბატონს, ძირ გავარდნილ ბოზკას რომ ჭკვას ჩასხამ და არ იგესება. მთავრობამ რადათ მოუმატა სპიჩკის გადასახადი? ცხადია, იმიტომ რომ უფრო მეტი შემოსავალი ჭქონდეს და მეტის მირთმევა შეეძლოს.

ამ რიგად მთავრობამ რომ სპიჩკას აქციზი მოუმატა, ვის დაეწვა ეს მოამატება? მექარხნეებს თუ ვაჭრებს? არც ერთს, არც მეორეს. ესენი ისეთი ვაჭბატონები არიან, რომ თითონ არაფერს დაეკარგიან. მექარხნემ მთავრობას გადაუსადა ერთბაშათ, რაც მოამზადებული სპიჩკა ჭქონდა, ამის აქციზია — სიფრიფანა ქაღალდის ბანდეროლი, კოლოფს რომ აქვს შემოხვეული. ის კიდევ ვაჭრების ანდევინებს ამ ხარჯს, ვაჭარი ვიღას? ვაჭარი კიდევ ჩვენ — მეიდვილეებს.

მე მარტო სპიჩკის ამბავი გითხარით, მაგრამ ეგრეთვეა დაწესებული გადასახადი სხვა ეველაფერზედაც. რას მეტეეი, რომ ნახარჯი არ ედოს: მარილი, ბიდაბიდი, შაქარი, ნავთი, სანთელი, თამბაქო და მრავალი სხვა. სულ ეველაზედ ასეთი ხარჯია დადებული მთავრობის სასარგებლოდ.

ეი ამნაირმა არაბირდებირმა ხარჯებმა მთავრობას შარშან — 1905 წ. მისცა ათას შვიდასი მილიონი! ეხუმრებით?

ზირდაზირმა გადასახადმა კი — ორას თხუთმეტი მილიონი.

მილიონი ნიშნავს ათასჯერ ათასს. ბევრმა მაგდენი თვლაც არ იცის. ასე რომ მთავრობა კაი ასასივით გვადგას თავზედ და მუდამ წამს სულ იმას გვეძახის: ჩემთვის ფული გადიხადე, ხარჯი მომეცი, აქციზი არ დაგავიწყდესო.

მართლა, არყის აქციზს ხომ ჩვენში — საქართველოში — კარგა ვიცნობთ ყველანი, როგორ შეგვიხუთა სული, როგორ გაგვიჭირა საქმე და რამდენი ხათაბალა არ გადაგვხვედრია ამ აქციზის გამო ჩვენს გლეხ კაცს!

ქვაბის დაბეჭვდაო, ჩასაწერი წიგნიო! ჩინოვნიკების თვალების ბრიალი და ლაძღვა ხომ ზედმეტი სიამოვნებაა!

ბოლში თვალებს ვინ იწვამს, დამეს უძილოთ ვინ სტეხავს არყის ცვარების თვლაში და ნახევარზედ მეტი ვინ უნდა წაიღოს?!

კიდევ მთავრობამ.

ნეტავი ანგარიშს მაინც გვაძლევდეს, რაში ფლანგავს ამოდენა ხალხის ფულს!

ასე, გადასახადები არის ორნაირი: ზირდაზირი და არა ზირდაზირი.

ვინ უფრო მეტს იხდის,? ამაზედ კი შემდეგ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

გლეხიშვილი

გლეხი დღეს

დღეს ის აღარ ვარ, რაც გუშინ ვიყავ:
გუშინ მეძინა, დღეს მღვიძარე ვარ,
გუშინ უნებო, მუნჯი, მორჩილი,
დღეს — სიტყვით, საქმით მეომარი ვარ!

—

დღეს ნათლად ვიცი, ვინცაა მტერი —
ჩემი გამყვლეფი, ჩემი მტანჯველი,
გუშინ თუ მასთან სიტყვას ვერ ვბედდი,
დღეს— პირში ვახლი, რაც მაქვს სათქმელი...

—

დღეს ის აღარ ვართ... თავისუფლების
წინამორბედმა სიომ დაჰბერა,
ჩაგრულმა იცნო თვისი მჩაგვრელი
და მისთვის თოფი, ხმალი გაფერა.

—

შევიგნოთ, ძმებო, რომ ჩვენც ხალხი ვართ.
ჩვენც გვიამება თავისუფლება,
ჩვენც გვაქვს უფლება კაცურ ცხოვრების,
კმარა ტირილი, კმარა მონობა!..

—

მაშ ბრძოლა, ბრძოლა მათ წინააღმდეგ,
ვინც უსამართლოდ დღეს მეფობს ჩვენზედ!
ასწიეთ დროშა თივისუფლების
და გასწით ერთად ბრძოლისა ველზედ...

გიორგი.

ჩვენებური ამბები

ქართლი

გლეხი ქართლელი ეხლა დიდის სიფრთხილით და შეგნებით აკეთებს ყოველს საზოგადო საქმეს. იგი უწინდელებრ შეუგნებლად აღარ იბრძვის, აღარ ემუქრება მთლად თავად-აზნაურობას ამოწყვეტას, აღარა სწვავს სახლებსა და სკოლებს. ეხლა მას გარკვეული მიზანი აქვს და შეგნებულად მისდევს იმ გზას, რომელიც განახორციელებს ამ მიზანს. გლეხებმა გადასწყვიტეს: თავად-აზნაურობის მიწა, რომელსაც ისინი თავიანთი მარჯვენით არ ამუშავებენ, თვითონ მოიხმარონ; ლალა ამ მიწაში არ უნდა აძლიონ, ხოლო იმ თავად-აზნაურებს და მათ ქვრივებს, რომელთაც სხვა სარსარი ცხოვრებისა არა აქვთ, უნდა მთელმა სოფელმა აძლიოს იმდენი, რაც საკმაოა მათთვის. მღვდლებზედაც ამ გვარადვე გადასწყვიტეს: სოფელმა უნდა აძლიოს იმდენი, რაც იმისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

კახეთი

კახეთიც თვალდახუჭული და ენა ჩაკმენდილი თვალებში შეჰყურებდა მთავრობის მოხელეებს და მემამულე თავად-აზნაურობას, მაგრამ ყველას დასასრული აქვს და აი მანჯურიის მინდორ-ველში დაიჭექა ზარბაზანმა და კახელებსაც თვალები აეხილათ, გაიგეს ქვეყნის ავ-კარგი, გაიგეს ვინ იყო მათი მტერი და მოკეთე.

ომმა კახელები გაზეთების კითხვას შეაჩვია და სადაც-კი მოხვდებოდა ჩვენი გლეხი, გაფაციცებით კითხულობდა და თვალს ადევნებდა ომის ამბებს. მთავრობასავით ისიც დარწმუნებული იყო, რომ რუსის მომრევი ჯერ არავინ დაბადებულა, მაგრამ შემდეგ თვითონაც დაინახა, რომ სცდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის გარდა სხვა ამბებიც ესმოდა. ყველამ გაიგო სულთან კრიმ-გირეის მოგზაურობის ამბავი გურიაში და ძრიელაც მოსწონდათ გურულ გლეხთა მოთხოვნილებანი. მისი გაჭირვებაც თან და თან მატულობდა, ბოლოს აივსო მოთმინების ფიალა და შარშან გაზაფხულზე, როცა მთელ საქართველოს მოედო განმათავისუფლებელი მოძრაობა, კახეთიც შეინძრა, აღიმაღლა თავისი ხმა და თამამად მოითხოვა მიწა და თავისუფლება. მაშინ ძნელად შეხვდებოდით ისეთ სოფელს, სადაც გლეხებს წითელ დროშის ქვეშ ფიცი არ მიეღოთ ძმობა-ერთობაზე და ახალ ცხოვრების წეს რიგი არ შეემუშავებინათ; ამის გამო სოფელში ყაზახ-რუსების ეკზეკუცია ჩააყენეს, მაგრამ ყველგან ისევ მალე ახსნეს. საერთო მოძრაობა მინელდა, თუმცა კახელ გლეხს არ დავიწყებია ორი სიტყვა: „მიწა და თავისუფლება“. ისინი ნამდვილად ცდილობენ კიდეც მის მოპოვებას. „მიწა მიწის მუშასაო“, — გაიძახიან გლეხები და მხოლოდ მარჯვე დროს ელოდებიან, რომ სიტყვა საქმედ აქციონ.

— ამას წინად თელავის მაზრის თითქმის ყველა სოფლის გლეხთა წარმომადგენელთ მოლაპარაკება ჰქონდათ ღალის შესახებ და ასე გადაუწყვეტიათ: მემამულეთ მიწის ქირად ღალა უნდა მიეცეთ მოსავალის მეათედი, ესეც ხორბლად, რომლის წაღებაც თვითონ მემამულემ უნდა იკისროს. რასაკვირველია, ეს გადაწყვეტილება ვერაფრად ეჭაშნიკათ მემამულეთ. ჯერ-ჯერობით სიჩუმეა.

— კახეთის ცხოვრების უმთავრეს სახსარს, მოგეხსენებათ, მევენახეობა შეადგენს. დიდი ზვრები ეკუთვნით მხოლოდ თ.-აზნაურობას და თელაველ ვაჭრებს, რომლებიც დასამუშავებლად ვენახებს მებაღეებს აძლევენ. ბევრ სოფელში მებაღეებს დაუდგენიათ: ვაზის შესაწამლი მასალა სულ მემამულისა უნდა იყოს, ჭიგოს (ხარდანის) მოჭრა და მოტანაც იმისი, ხოლო შედგმა ჩვენი; მიწის მოსავალი, მაგ., ბალახი, ლობიო და სხვ. სულ ჩვენიო და სხვა. ზოგ სოფელში იმასაც ლაპარაკობენ, რომ ღვინის მოსავალი ერთი წილი ვენახის პატრონისა უნდა იყოს, ხოლო ორი წილი — ვინც ვენახს ამუშავებსო.

გ უ რ ი ა

თუმცა გურიის გლეხობას არასოდეს არა ჰქონია დიდი იმედი სათათბიროსი, მაგრამ მაინც როგორღაც სიამოვნებას გრძნობდა, რომ იქ, სადღაც „ლაპარაკობენ მაინც, რომ ჩვენც ადამიანები ვართ“, რომ „მიწა და თავისუფლება გლეხისათვისაც არის საჭირო“. „დუმის“ დათხოვნამ ყველა აალელვა. „რეიზა, კაცო, ტყუილათ ლაპარაკიზა გამორეკეს, სხვას ხომ აფერს აკეთებდენ მაინცო?“ — ამბობენ გურულები.

ს ვ ა ნ ე თ ი

4 ივლისს ცაგერიდან გასულმა ჯარმა ისადგურა პირველ საზოგადოებაში სოფ. ლენტეხს. მეორე დღეს სოფ. ჩოლურს ავიდა. იქ ორის დღის დასვენების შემდეგ გასწია ლაშხეთში. ს. ჩოლურში დაიჭირეს ორი კაცი და დასტოვეს ასი სალდათი. ლაშხეთის საზოგადოება ჯარს სახაშის ჭალაზედ პურ-მარილით დაჰვხდა. ჯარის უფროსმა შიშკევიჩმა პურ-მარილის მიღება არა ინება, მაგრამ ხალხის სიტყვებმა: „ღვთის გაჩენილ პურ-მარილს რათ არ ნებულობო“ — იმოქმედა და აფიცრებმა ჩამოართვეს. დღეს ამ რიგად გათავდა საქმე, ხოლო მეორე დღეს ხალხს ფიცი მიაღებინეს ხელმწიფის ერთგულებაზე და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1. იარაღის აყრა; 2. გასულ რაზმების მიცემა; 3. დაუყონებლივ გადახდა ყოველგვარ გადასახადებისა; 4. სალდათის მიცემა. ხალხი ყველაფერს დაჰყაბულდა, მხოლოდ განაცხადა რაზმების მოყვანას ვერ ვიკისრებთ, რადგან შეუძლებლად მიგვაჩნია სვანეთის მიუვალ მთა-კლდე-ღრეებში დამალულ კაცების მოძებნა და ხელთ ჩავდებაო. გადასახადებზე უარს არ ვამბობთ, მხოლოდ ცოტა გვადროვეთ, რადგან მთელის წლობით კარ ჩაკეტილებს სალსარი არა გვაქვს, რამე მოვახერხოთო, მაგრამ პასუხად ცივი უარი მიიღეს, ეხლავ და დაუყოვნებლივ წარმოადგინეთ გადასახადებიო. როგორც გვითხრეს, ერთ სვანს ყრილობაზე დაუძახნია: ჩვენ, სვანებს, გვიბრიყვებენ, თორემ სადღაა ასეთი გადასახადებიო. სვანი იმ წამსვე დაუჭერიათ. ამას გარდა ორი სვანი კიდევ ლაშხეთში დაუჭერიათ. სოფლებში ხშირი ჩხრეკვაა მცხოვრებთა. სოფლები ისეა დაცარიელებული, რომ

თითქო ჟამი დარევიათ და ერთიან გაუჟლეტიაო. მთებში არიან გახიზნულნი ქალი, ბავშვი და საქონელი, ხოლო კერიას მცველად თითო-თითო კაცია სახლის წინ ატუზული.

10 ივლისს დასწვეს სოფ. სახაშს ვასილა ონიანის სახლ-კარი. ამ სვანის სახლს ოთხჯერ ესროლეს თურმე ზარბაზანი, მაგრამ ვერა დააკლეს-რა გულიანათ ნაკეთებ ორ სართულიან ქვის შენობას, მაგრამ მერე შიგნიდან ცეცხლი მიუციათ. დასწვეს სოფ. ჩიხარეშს ეგნატე ავალიანის სახლ-კარი.

თავისუფალმა სვანეთმა, თითო საზოგადოებამ ას-ასი კაცი გაჰგზავნა დეპუტატად (ასეთი იყო ჯარის უფროსის მოთხოვნა). მივიდენ სახაშის ჭალაზე, იქ პურ-მარილი მიართვეს პოლკ. შიშკევიჩს. პურ-მარილი მადლობით მიიღო და სიტყვა უთხრა. სვანებმა მორჩილება განაცხადეს, შემდეგ სვანური სიმღერა და ფერხული გააბმევინეს და დაიშალენ „ურას“ ძახილით. ასე მოიქცა თავისუფალი სვანეთი, ხოლო სადადეშკელიანო სვანეთი სდუმს.

ახალ-სენაკი

მაზრის დასათვალიერებლად გვეწვია გუბერნატორი იაზიკოვი, რომელმაც მგზავრობის დროს რამდენსამე ადგილას განიზრახა ხალხის შეკრება და მასთან თათბირი. ხალხი ხალისით არ დადიოდა ყრილობაზედ და იყო ისეთი შემთხვევა, რომ მამასახლისისა და სხვა მოხელეების გარდა გუბერნატორს არავინ შეჰხვედრია. სხვაგან 6 — 7 კაცი გამოცხადდა, ხოლო დაბაში რვა სოფლის საზოგადოებისაგან მოვიდა ორასამდე კაცი. ასეთმა უყურადღებობამ ხალხის მხრივ გუბერნატორს გული არ წაუხდინა და ვინც ნახა, მაინც ელაპარაკა.

შინაარსი გუბერნატორის ბაასისა ყველგან ერთი და იგივე იყო. ხალხს არიგებდა, ნუ აჰყვებით მქადაგებლებს და წყნარად იყავითო. ამასთან გადასახადების შემოტანას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარითა და აკლებით ემუქრებოდა. მარანის საზოგადოების წარმომადგენელთ ორის მქადაგებლის გაცემა მოსთხოვა, მაგრამ ხალხმა ცივი უარი განაცხადა. გადასახადის შესახებ ხალხმა ვადა ითხოვა; მასთან ისიც დაუმატა, რომ ზოგიერთს სოფელში ჩაყენებული დრაგუნები გვავიწროვებენ და მოგვაშორეთ იგინიო.

სოფ. წირქვალი (ზემო იმერეთი)

წირქვალ ელ ლეხებს კარგად ახსოვთ იანვრის რეაქცია, ხალხის დაწიოკება, [illegible] და დაგვა სახლებისა, უზომო გადასახადები და მასთან შიში, რომელიც აქნამდე ბევრს დარჩენია გულში. მიუხედავად ამისა, ხალხი მაინც სულით არ დაცემულა. ყველანი, დიდი და პატარა, ახალგაზდა და მოხუცი, გამსჭვალულია იმ იმედით, რომ „ახალი საქმე“ სასურველად დაბოლოვდება და მშრომელი ხალხი თავის საწადელს მიაღწევს. „ან უნდა დავიხოცოთ, ბატონო, და ან ეს „ახალი საქმე“ უნდა გავიტანოთ, თორემ ცხოვრება შეუძლებელიაო“.

სოფ. სვერი (ჭიათურის მიდამო)

მემამულეების თავხედობას საზღვარი არ უჩანს. ისევ განაგრძობენ უსირცხვილოთ მოქმედებას. ვერ შეუგნიათ აქაურ მემამულეებს, მღვდელს დ. წ-ს და მის ამხანაგს რაჟდენს, რომ ხალხის მოთხოვნილება სამართლიანია. ერთ გლეხს ამ ვაჟბატონების მამულში დაუმუშავებია ყანა. გლეხი გარიგებია ფულს შეფასებით, მაგრამ როდესაც დაუმზადებია ამ გლეხს პური, მისულან ეს ბატონები და გლეხის დაუკითხავად, რამდენიც იმათ მოუხდებოდათ, წაუღიათ და რაც ცოტა ნამცეცები მორჩენიათ, ის გლეხისთვის დაუტოვებიათ.

ადგილობრივი გლეხი

სოფ. ხაშმი (გარე კახეთი)

ყბად აღებული — წყალ წაღებულიო, იტყვიან და მართალიც არის. რაკი ერთი ორი კაცი ყბად აიღებს ვისმე, მერე ყბად აღებული დაკარგულივით არის, წყალ წაღებულია. ჩვენს სოფელში მეტადრე ესეთი შემთხვევები ხშირია და ადვილიც, რადგან პარტიული ბრძოლაა გაჩაღებული და შეგნებულ-შეუგნებელი ერთმანეთს ეჯიბრება კაცის ყბად აღებაში.

ეგრე მოუვიდა აქაურ მამასახლისს იოს. იმედაშვილს. ჯერ კარგი იყო, არა უჭირდა რა. მერე თითქოს უკან-უკან წავიდაო. დაიწყეს ლაპარაკი, რომ სოფლის ფული აქვს შეჭმულიო. ჩუმჩუმად დაწყებული ლაპარაკი გაიზარდა და ბოლოს პირდაპირ პირში ლანძღავდნენ კიდეც. ამის გამო ხალხი უნდობლად ეკიდებოდა მამასახლისს

მოანგარიშეპიც ამოირჩიეს და უანგარიშეს, აქვე დაესწრო მომრიგებელი შუამავალი გ. მაჩაბელიც. გამოირკვა, რომ სოფლისა არა „შეუჭამნია“ რა. ჯამაგირი კიდევაც ერგება რამდენიმე თუმანი.

მაშ რამ გამოიწვია ეგრეთი აურზაური, მითქმა მოთქმა და ხალხის უნდობლობა?

ჯერ, რასაკვირველია, იმედაშვილის ყბად აღებამ რამდენიმე კაცისაგან და მერე — მისივე ხასიათმა — მოქმედებამ.

იმას ჰგონია, რომ საქმის თავი და ბოლო თითონ არის; უიმისოდ არაფერი გაკეთდება, და თუ თითონ არ არის, სხვა ვერ მოახერხებს ხალხის ინტერესების დაცვას.

შეიძლება, ეს მეტის მეტი პატივმოყვარეობითაც მოსდის; იქნება უნდა, რომ ყველგან პირველი თითონ იყოს, მაგრამ საქმესაც ეგ აფუჭებს. მაგ გვარმა ქცევამ ბევრი თანამგრძნობელნი ჩამოაცალა და, თუ არ შეიგნო ეს ნაკლი, მომავალშიაც ბევრს ჩამოაცლის.

თუ მეტს სიდინჯესაც გამოიჩენს, სოფლის უმთავრესს ნაკლულოვანებას მიაქცევს ყურადღებას და გააკეთებს კიდეც, სასარგებლო კაცი იქნება. სოფელიც ისევ ნდობით მოეპყრობა.

ჯერჯერობით სოფელი მიწყნარებულია, იმ ანგარიშმა ბევრს დაუშოშმანა აღშფოთებული გული, ისე მკაცრად აღარ ლაპარაკობენ მამასახლისზედ.

შაბიაბნისა და გოგირდის უქონლობამ ძალიან შეაწუხა ხალხი, თითქმის ყველა სწამლობს და წამალი კი არ იშოვება! საჭირო იყო ამისთვის ყურადღება მიექცია სამეურნეო საზოგადოებას და მომავალ წლისთვის მაინც დაეჭირა თადარიგი.

მეთვალყურე.

ქუთაისი

ორშაბათს, 17 ივლისს, საღამოს 7 საათზე პოლიცმეისტრის სამმართველოს მახლობლად, სიცოცხლეს გამოასალმეს ახალგაზდა ქართველი ებრაელი იცკა რიჟინაშვილი, მუშა ხალხის მეგობარი და დაუღალავი მუშაკი. **მკვლელობა მოხდა ასე:** რიჟინაშვილი სახლიდან თავის ბიძასთან მიდიოდა. პოლიცმეისტერის სამმართველოს რომ მიუახლოვდა, პოლიციელები გადაეღობენ და შეიპყრეს. განსვენებულმა რიჟინაშვილმა შეპყრობის მიზეზი იკითხა და როცა პასუხი ვერ მიიღო, გაცლა მოინდომა. დარაჯებმა ხელი მოჰკიდეს და პოლიცმეისტერის სამმართველოში მოინდომეს მისი შეყვანა. სწორედ ამ დროს, როგორც ამბობენ, რიჟინაშვილი ისე მოტრიალდა თურმე. ეს პოლიციელებმა თუ პოლიცმეისტერის სამრთველოში მყოფმა ბოქაულმა ელჩიბეკოვმა გაქცევის ნიშნად მიიღეს (თუმცა ძალიან კარგად უნდა გაერჩიათ, რომ რიჟინაშვილი გაქცევას არ აპირობდა) და ორჯელ დაახალეს რევორვერი. ერთი ტყვია საფეთქელში მოხვდა, ხოლო მეორე გულში, და საბრალო რიჟინაშვილი იქვე ქუჩაში უსულოდ დაეცა.

მოკლულის გვამი დიდხანს ეგდო ქუჩაში, მხოლოდ როცა მთლად დაღამდა, მაშინ აცნობეს რიჟინაშვილის დედას. მალე მოვარდა გვამის წასასვენებლად თმა გაწეწილი დედაც. საცოდავ დედის ნახვა ქვასაც კი აატირებდა.

განსვენებული რიჟინაშვილი დიდ მხურვალე მონაწილეობას იღებდა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების განცხადება

სათათბიროს დათხოვის შემდეგ დეპუტატები შეიკრიბენ ქ. ვიბორგში და გამოსცეს ხალხის მიმართ მანიფესტი.

მანიფესტი ორის ნაწილისაგან შესდგება. პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ ხალხმა მიანდო არჩეულ წარმომადგენლებს მიწისა და თავისუფლების მოპოვება ხალხისათვის; სათათბირომ წმიდად აასრულა თავისი მოვალეობა: შეადგინა კანონები ხალხის თავისუფლების უზრუნველ-საყოფელად, მოითხოვა გადაყენება სამინისტროსი, რომელიც დაუსჯელად არღვევდა კანონებს. სათათბირო სცდილობდა, გამოეცა კანონი შესახებ მიწების დარიგებისა გლეხებისათვის, მაგრამ მთავრობამ შეუძლებლად სცნო იგი დ როცა სათათბირომ გადასწყვიტა საქმის ასახსნელად მიემართნა ხალხისათვის, სათათბირო დაითხოვეს. ცხადია, მთავრობას განზრახვა აქვს საბოლოოდ მოსპოს განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამ განზრახვით აიხსნება, რომ სათათბირო დაითხოვა ასეთ მძიმე დროს.

მანიფესტის მეორე ნაწილში ხალხის წარ-

მომადგენლნი წინადადებას იძლევიან, რომ არავინ არ გადაიხადოს სახელმწიფო გადასახადები და აგრეთვე უარი სთქვას სალდათობაზედაც.

რუსეთი

გლეხების მოძრაობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ მოსკოვისა და ტვერის გუბერნიებში დიდი საადგილ—მამულო მოძრაობა დაიწყო. მოძრაობა განსაკუთრებით სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის გამო დაწყებულა.

— მთავრობის სასტიკმა ზომებმა რუსის გლეხებსაც იარაღი აალებინა ხელში. იმ ადგილებში, სადაც მოძრაობა ძალიან არის გავრცელებული, გლეხები რაზმებს ადგენენ. მათ სურთ იარაღით ხელში გაუმკლავდენ ადგილობრივ პოლიციასა და კაზაკებს.

— ბობროვისა და ვორონეჟის მაზრებში 26 და 28 ივნისს 20 მამულზე მეტი აუკლიათ. მოძრაობა ამ გუბერნიებში მახლობელ ტამბოვის გუბერნიიდან გადასულა. გაალმასებული გლეხები ერთი მაზრიდან მეორეში გადადიოდენ და მამულების აკლების დროს ყველგან ერთნაირ გზას ადგნენ. ჯერ წვრილ შენობებს გადასწვავდენ ხოლმე, მერე უმთავრეს შენობების განადგურებას შეუდგებოდენ, მემამულეთა სადგომების მორთულობას ამტვრევდენ და, თუ რამე ფასიანი შეხვდებოდათ, თან მიჰქონდათ. ამნაირი აკლება 26 ივნისს თავ. ბარიათინსკის, გრ. ორლოვ-დავიდოვის და სხვათა მამულში დაიწყო. აქ გლეხებმა ყველაფერი გადასწვეს და გაანადგურეს. საქონელს ასახიჩრებდენ და ისე სტოვებდენ, ზოგი კი თან მიჰყავდათ. გრ. ორლოვის მამულში გლეხებს შეტაკება მოსვლიათ კაზაკებთან. პირველად გლეხებიდან ვიღაცას რევოლვერი უსროლია კაზაკების აფიცრისთვის. ამის საპასუხოდ კაზაკებს ჯერ თოფები უსროლიათ რამდენჯერმე და მერე ხმლებით დაჰკრევიან. შეტაკების შემდეგ 40 მოკლული და 50-ზე მეტი დაჭრილი აღმოჩენილა. მეორე დღეს, 27 ივნისს, ბობროვის მაზრაში გლეხებს პეტროვის მემკვიდრეთა მამული აუკლიათ. ყველაფერი გაუნადგურებიათ და გადაუწვავთ. პეტროვების მამულის აკლების შემდეგ გლეხები რუბაშევსკის მაზრისკენ გამგზავრებულან, მემამულის სადგომში ღამე გაუთენებიათ და მეორე დღეს, დილით, ყველაფერი გადაუწვავთ. ამავე დღეს ხარინის, თავ. ვასილჩიკოვის, მიაგკოვის, იამცკის, გრაჩევის, პოპოვის, სომოვის, ტულიკოვის, სუხოვის და სხვათა მამულები გადაუწვიათ.

— ბევრს ალაგას გლეხებმა შაქრის ქარხნებიც გაანადგურეს. განადგურებისაგან გადარჩა მხოლოდ ვასილჩიკოვის შაქრის დიდი ქარხანა, რომლის დაცვაც თვით ქარხნის მუშებმა იკისრეს. იმ ადგილებში, სადაც არეულობა იყო, ვორონეჟის გუბერნატორი ბიბიკოვი გაემგზავრა. 27 ივნისიდან არეულობა ცოტა მინელდა. ბობროვსკის მაზრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და ვორონეჟის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში აუკლებელი არც ერთი მემამულე არ გადარჩა. შეშინებულმა მემამულეებმა თავიანთ სარჩო-საბადებელს თავი დაანებეს და ქალაქებისკენ გაემგზავრენ.

— გლეხები იქამდისაც კი მისულან, რომ უარი განუცხადებიათ გადასახადის გადებაზედ. ამასთან ერთად სჩეხენ საუფლისწულო ტყეს.

— კურსკის გუბერნიაში სოფ. ბორისოვკაში 8000 გლეხი დასცემია ბოქაულის სახლსა და ფოსტის მოხელეების იარაღი გაუტაცია.

მოძრაობა ჯარში

უკანასკნელი დღეებში რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან ერთნაირი ამბები მოდის: დიდი არეულობაა ჯარშიო. სალდათები აუჯანყდენ მთავრობას და ნამდვილ ომს უცხადებენ. დიდი აჯანყება მოხდა ქ. ჰელსინგფორსის ახლოს სვეაბორგის ციხეში. აჯანყდენ სალდათები და მატროსები. ამას შეიარაღებული შეტაკება მოჰყვა მთავრობის მომხრეთა და აჯანყებულთა შორის.

„საღამოს მეშვიდე საათზედ ზღვიდან მოსულმა სამხედრო გემებმა ყუმბარები დაუშინეს იმ ციხეებს, რომლებიც აჯანყებულებს ეჭირათ. პირველ ხანს აჯანყებულებმა პასუხი გასცეს, მაგრამ ყუმბარებს ვერ აწვდენდენ. 6 საათზე სროლა შესწყვიტეს. დეპეშით გვატყობინებენ.

„20 ივლისს განახლდა სროლა. ციხიდან ქალაქში მოჰყავთ დაჭრილები. ციხის ჯარის იმ ნაწილს, რომელსაც არ უღალატნია, ქვეითა ჯარი მიაშველეს. როდესაც ამბოხების ჩასაქრობათ სვეაბორგში ორი როტა შევიდა, მეამბოხენი გადავიდენ სამ მახლობელ კუნძულზე, საიდანაც ღამე ციხეს თოფები და ზარბაზნები დაუშინეს. მეციხოვნეთ თავიანთ მხრივ პასუხი გასცეს. გუშინ დილისით სროლა შეჩერდა, მაგრამ მიმოსვლა შეწყვეტილია

ციხეში მოკლულ-დაჭრილი ცოტაა. აჯანყებულთ უფრო დიდი ზარალი მოუვიდათ.“

21 ივლისს დიდძალი ჯარი მიუსიეს აჯანყებულებს და დაიმორჩილეს.

სვეაბორგისა და ჰელსინგფორსის აჯანყებას ზედ დაერთო კრონშტადტის ჯარის აჯანყებაც.

„19 ივლისს, ასე შუაღამის დასაწყისს, არეულობამ იფეთქა კრონშტადტში. ფლოტის მეოთხე „ეკიპაჟის“ მატროსებმა ჩაიცვეს შავი კურტკები, დაავლეს თოფებს ხელი, გამოვარდნენ ყაზარმებიდან და დაიწყეს თოფების სროლა ჰაერში. შემდეგ შეუერთდენ მუშებსა და სხვა გარეშე პირთ, რომელთაც რიცხვში ქალებიც იყვენ და დაიძრნენ ნავთსადგურის უფროსის სადგომისაკენ. ჩქარა გამოიწვიეს ქვეითი ჯარის კაცები, რომელთა სროლით გაჰფანტეს მატროსები, მაგრამ ამავე დროს სხვა მატროსებს შორისაც დაიწყო არეულობა. მატროსებმა იწყეს გარედ თავის მოყრა, მაგრამ იგინი დაიყოლიეს ყაზარმებში დაბრუნებულიყვენ. ამასობაში ხელახლა მოიყარეს თავი ყველაზე პირველად გამოსულმა მატროსებმა და გარეშეებთან ერთად მივარდენ არსენალს, სადაც უნდოდათ კარები შეემტვრიათ და იარაღი ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ ტყვიის მტყორცნელებით გარეკეს ყველანი. მატროსებმა კიდევ მოიყარეს თავი, გაემართენ „კონსტანტინ“-ის სიმაგრეებისაკენ, სადაც უკვე ფრიალებდა წითელი დროშა და დაიჭირეს ეს სიმაგრე. „კონსტანტინი“-ს სიმაგრეს თოფები დაუშინეს. პირისპირი სროლა დილის 5 საათამდე გაგრძელდა და ექვსის ნახევარზე მეამბოხეთ დაჰყარეს იარაღი. მატროსებთან და გარეშე პირებთან შეტაკების დროს მეამბოხეებმა ბრაუნინგებით მოჰკლეს პირველი რანგის კაპიტანი როდიონოვი, მეორე რანგის კაპიტნები დობროვოლსკი და შუმოვი და შტაბს-კაპიტანი სტოიანოვსკი. დასჭრეს კონტრ-ადმირალი ბეკლემიშევი—ხიშტით ზურგსა და მკერდში, მეორე რანგის კაპიტნები კრინიცკი და პატონი და მიჩმანი მალცევი — ტყვით. ენისეისა და ფინლიანდიის პოლკების შემწეობით არეულობა ჩააქრეს; მეამბოხეთაგან ზოგი გაიქცა, ზოგიც დაატუსაღეს.

აჯანყებულა ჯარი აგრეთვე ბრესტ-ლიტოვსკის ციხეში.

„ციხის არტილერისტებმა წინააღმდეგობა განაცხადეს იმის გამო, რომ საპოლიციო სამსახურში ჰგზავნიან. 8 ივლისს მათ შეუერთდენ სხვა სალდათებიც. 9 ივლისს არტილერისტებმა [illegible] დაუშინეს ავიცერთა საკრებულოს. კომენდანტი კარგად მიიღეს და მოთხოვნების აღსრულება მოითხოვეს. 10 ივლისს აჯანყებულების წინააღმდეგ სამი პოლკი გაგზავნეს და დაიმორჩილეს“.

რეველში სამხედრო გემი „პამიატ აზოვა“-ს მატროსები აჯანყებულან.

აჯანყებულმა მატროსებმა მოჰკლეს კრეისერის უფროსი და ოთხი ავიცერი.

დაღესტანში აჯანყდა სამურის პოლკის მესამე ბატალიონი. მოჰკლეს პოლკის უფროსი, მღვდელი და ოთხი ავიცერი. კავკავიდან და გროზნოდან ჯარი გაიგზავნა. მეამბოხენი დამორჩილდენ.

ვინ რითი ცხოვრობს

(გადმოღებულია)

1. შრომა და მისი მნიშვნელობა.

„ყველა ადამიანი თავის შრომით ცხოვრობსო“. მართალია ეს?

პირველად კაცს ეგონება, რომ სწორედ ასეა. ბევრს ეჩვენება, მაგალითად რომ მეჩექმე თავის საკუთარის შრომით ცხოვრობს, დურგალი — დურგლობით, მჭედელი — მჭედლობით, მასწავლებელი — მასწავლებლობით; აგრეთვე მუშაობს მექარხნეც, თუმცა ხელებით კი არა, არამედ თავით.

ასე ეჩვენება ბევრს, მაგრამ ნამდვილად კი ასეა? მართლა ყოველი ადამიანი თავის საკუთარი შრომით ცხოვრობს?

თქვენ გაგიკვირდებათ, ალბად, როცა გეტყვით: არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს საკუთარის შრომით, არამც თუ მექარხნე და ვაჭარი, არამედ მუშა ხალხიც.

მაგალითად, მეჩექმეს იმის გარდა, რომ ჩექმებს ჰკერავს, მიწაც რომ ჰქონდეს და თვითონ მოჰყავდეს პური, თვითონ ჰქსოვდეს და იკერავდეს თავისთვის ტანისამოსს, თვითონ იშენებდეს სახლს, აკეთებდეს სტოლს, სკამს, ლოგინს, ერთი სიტყვით, რომ ყველაფერს საკუთარის ხელით აკეთებდეს, რაც კი დასჭირდება ოჯახში, — მაშინ შეგვეძლო გვეთქვა: მეჩექმე ცხოვრობს საკუთარის შრომით.

ძველად, რამდენიმე ასი წლის წინად ასეც იყო. მაშინ ყოველ ხელოსანს საყოფნი მიწაც ჰქონდა და თვითონ იმზადებდა ყველაფერს, რაც კი დასჭირდებოდა. მაგრამ ეხლა სულ სხვაა, ხე-

ლოსანს არა აქვს მიწა, ან თუ აქვს, ძალიან ცოტა, და მეჩექმეს, მაგალითად, ჩექმები შეუძლია შეუკერაო, სხვა არაფერი. ჩექმებს კი ვერც შესწავს და ვერც ტანზე ჩაიცვამს. ამნაირსავე მდგომარეობაშია თერძიც, დურგალიც, მჭედელიც და სხვა. თერძს არ შეუძლია, თავისი შეკერილი ჩოხა-ახალოხი წამოს, მჭედელს არ შეუძლია, თავისი გაჭედილი თოხი და გუთანი წამოს.

ყველაზე უფრო ისევ გლეხს შეუძლია თქვას, ჩემი სკუთარი შრომით ვცხოვრობო. გლეხს სკუთარი ბური აქვს. სკუთარი საქონელი ჰყავს, ხშირად თვითონვე იმზადებს თავისს ტანისამოსს. მაგრამ რაც დრო გადის, გლეხიც უფრო და უფრო ბაზარში ეიდულობს ფეხსაცმელს, ტანისამოსს, ავეჯს და სხ.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, არავის არ შეუძლია თქვას: სკუთარის შრომით ვცხოვრობო. მეჩექმე ცხოვრობს თერძის, დურგლის, ხუროს, კალატოზის, გლეხის შრომით; თერძი ცხოვრობს მეჩექმის, დურგლის, კალატოზის, ხუროს, გლეხის შრომით. ეოველი ადამიანი ცხოვრობს სხვების შრომით.

მაგრამ ეოველი ადამიანი ხომ მუშაობს, მიბასუხებთ: რომ არ მუშაობდეს, არც არაფერი ექნებოდა.

მართალია: მაგრამ ის კი არ უნდა ვსთქვათ, რომ ეოველი ადამიანი თავის შრომით ცხოვრობს, არამედ უნდა ვსთქვათ: ეოველი ადამიანი თავის სკუთარი შრომით ინახავს თავის თავს.

— მერე ეს ერთი და იგივე არ არის: ცხოვრობს სკუთარის შრომით თუ ინახავს თავის თავს სკუთარის შრომით? მეტეკვეთ თქვენ.

არა, იგივე არ არის და აი რატომ. მჭედელი, დურგალი, ხურო, მეჩექმე და სხვები რომ მართლა ცხოვრობდენ თავის შრომით, თვითონვე იმზადებდენ და აკეთებდენ ყველაფერს, რაც კი დასჭირდებათ ოჯახში, მაშინ თვითონული მათგანი დარწმუნებული იქნებოდა, რომ შიმშილით არ მოკვდება; ყველაფერს იშოვნიდა ცოტას მაინც — საჭმელსაც, ტანისამოსსაც და სხ., თუმცა მისი მდგომარეობა ეოველთვის ერთნაირი არ იქნებოდა. დღეს კი მეჩექმე ჰკერავს ჩექმებს, ამზადებს იმდენს, რამდენიც შეუძლია, რომ ბაზარში გაიტანოს და გაყიდოს. თუ მეიდვილი იშოვნა — კარგი; მეჩექმე გაყიდის ჩექმებს და ადებული ფულით იყიდის ყველაფერს, რაც კი სჭირია. მაგრამ თუ ვერ გაყიდა, მაშინ? მაშინ რა უნდა იჭამოს თავის შვილებს, რითი უნდა გაძღარიყვნ გაძღარსაცხადები, რაგორ უნდა გაისტუმრონ ვალი?

ხომ ხედავთ, ერთი არ არის: ადამიანი თავის შრომით ცხოვრობს, თუ სკუთარის შრომით ინახავს თავის თავს.

სანამ ადამიანები ეკელესიერს თვითონვე იმზადებდენ თავის სახლში, სანამ ძალიან ცოტა გაქონდათ ბაზარში გასაყიდათ თავისი საქონელი, მანამდე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ადამიანები თავის შრომით ცხოვრობენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ადამიანები მუშაობენ იმისთვის, რომ თავისი გაკეთებული საქონელი გაყიდონ და ადებული ფულით ირჩინონ თავი, რაც წარმოების საგანი გახდა გაყიდვა, საქონლის ბაზარში გატანა, ამის შემდეგ არც ერთი ადამიანი არ ცხოვრობს სკუთარის შრომით.

—

კეთილი და ბატიოსანი. მაშ ეოველი ადამიანი საკუთარის შრომით ინახავს თავის თავს. ეს ეს მაინც სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს.

არა არც ეს არის მთლად მართალი. ამის შესახებ მერე მოვიდაბარაკოთ, ხ

დ ახლა ვთქვა, რომ ყველა ადამიანი საკუთარის შრომით ინახავს თავის თავს.

მაგრამ რატომ ვამბობთ, **შრომითო?** იმიტომ, რომ რაცა ვინმე ეიდის თავის ნაწარმოებს — ჩექმა ეს თუ ტანისამოსი, ჭურჭელია, დანა თუ სხვა რამ,—მის საქონელს ეფასებენ შრომის კვალობაზე. წარმოვიდგინოთ, რომ მეჩექმემ ჩექმის შესაკერად იმუშავა მთელი დღე და თავის ჩექმაში მიიღო 10 არშინი ტილო. აქ გასაკვირველი არაფერია: იმუშავა და მიიღო ტილო. მაგრამ წარმოვიდგინოთ ერთი წუთით, რომ არის ისეთი ბედნიერი ქვეყანა, სადაც ტიდან ვარდება შეკერილი ჩექმები. ასეთი ქვეყანა არ არის, მაგრამ რომ იყოს, განა ამ ქვეყანაში ვინმე ფულს მისცემდა მეჩექმეს ჩექმაში? არაფერსაც არ მისცემდა. ეკელა იმას იტეოდა, ჩექმები მუქთად გვაქვს ტიდან და მეჩექმესაგან რატომ უნდა ვიყიდოთ. მეჩექმეც იძულებული იქნებოდა, სხვა ხელობა დაეწყო, რადგან ისე შიმშილით მოკვდებოდა.

მართალია, ჩვენში ჩექმას ვერავინ იშოვნის მუქთად, მაგრამ ბევრი ისეთი ნივთია, რომელიც არაფერი არ დიაროს და უფასოდ შეიძლება ვიშო-

ვოთ, რადგან მის გასაკეთებლად **შრომა** არაა გაწეული. მაგალითად, წყაროდან რომ წყალი დავლიოთ ან მდინარიდან ქვიშა და სილა ამოვიღოთ, ამისათვის არავითარი ფულის გადახდა არაა საჭირო, რადგან წყალი და ქვიშა უშრომოდ არის გაჩენილი.

მაგრამ სამაგიეროდ, რაც უფრო მეტი შრომაა გაწეული რომელისამე ნივთის გასაკეთებლად, მით უფრო მეტად ღირს ნივთი, მით უფრო მეტს ფასს ავიღებთ ამ ნივთში. ერთი არშინი ტილო უფრო იაფად ღირს, ვიდრე ერთი არშინი ფარჩა, რადგან ტილოს გაკეთებას ნაკლები შრომა უნდა. ოქროს ძეძკვი უფრო ძვირია, ვიდრე თითბერისა. რატომ? იმიტომ კი არა, რომ ოქრო მეტს იწონდეს ან უფრო ბრწყინავდეს, არამედ იმიტომ, რომ ოქროს საშოვნად და მიწიდგან ამოსადებად მეტი შრომაა საჭირო, თითბერი კი ადვილად საშოვნია.

როდესაც ხელოსანს, მეჩექმეს, მეპურეს, დურგალს ფულს აძლევენ ჩექმაში, პურში თუ სტოლში, ამ ფულს აძლევენ იმ შრომისათვის, რომელიც გაწეულია ჩექმის, პურის, ან სტოლის გასაკეთებლად. თუ პურის, მოსამზადებლად საჭიროა ერთი საათის მუშაობა, მაშინ წყვილ ჩექმაში მივიღებთ 10 პურს, რადგან ჩექმაში ჩაყრილი შრომა ათჯერ მეტია, ვიდრე პურის მოსამზადებლად გაწეული შრომა.

თუ არშინ მაუდში იხდიან ერთ ვერცხლის მანეთს, ეს იმიტომ, რომ ერთი არშინი მაუდის მომზადებას (ცხვრების მოვლა, გაკრეჭვა, მატყლის დაჩეჩა, მოქსოვა) უნდა იმდენივე შრომა, რამდენიც უნდა ერთ ვერცხლის მანეთის გაკეთებას (ვერცხლის შოვნა, მოტანა, გადადნობა და სხ.), მაგალითად 10 საათის შრომა. არშინ ტილოში აძლევენ 20 კაპ., იმიტომ, რომ მის მოსამზადებლად საჭიროა მხოლოდ 2 საათის მუშაობა და არა 10 საათისა.

აი, ამისათვის ვამბობთ: თერძი, დურგალი, კალატოზი და საზოგადოთ ყოველი მუშა საკუთარის შრომით ინახავს თავის თავს. ყველა ამზადებს საქონელს და ამ საქონელში ღებულობს იმდენს, რამდენი შრომაც გაუწევია. ვინც ბევრს მუშაობს, ვისაც ბევრი შრომა გაუწევია, ის ბევრსაც მიიღებს, მეტად გაჰყიდის თავის საქონელს.

ეს კარგი და სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ საქონლის დასამზადებლად მარტო შრომა არ კმარა. მეჩექმემ რომ ჩექმა დაამზადოს, მას საჭიროა იარაღი, მასალა, სახელოსნო, ამას კი ყველაფერს ფული უნდა. მჭედელმა რომ დანები, ცულები, თოხები, ბარები გააკეთოს, ჯერ ამისთვის ბინა უნდა იშოვნოს, რკინა იყიდოს, იარაღი შეიძინოს, — ამასაც ფული უნდა. ვისაც ფული აქვს, ის გამართავს სახელოსნოს, ქარხანას, დაამზადებს საქონელს და გაჰყიდის, მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც არა აქვს არც მასალა, არც იარაღი, არავითარი საშუალება? რა ჰქნას იმ გლეხმა, რომელსაც არ გააჩნია მიწა, რითი უნდა ირჩინოს თავი?

ასეთ ადამიანს ის და დარჩენია, რომ წავიდეს და მეფაბრიკეს ან მემამულეს მიექირაოს, მიჰყიდოს თავის თავი, ეყმოს. თუ ეს არ ქნა, ისე შიმშილით მოკვდება, ცოლშვილი გაუწყდება. დიახ, უნდა ეყმოს, ემონოს, რადგან მონაა ის ადამიანი, რომელიც იძულებულია თავის თავი, თავისი ძალა და ღონე, შრომა სხვას მიჰყიდოს. ასეთი ადამიანი არ არის თავისუფალი.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი.**

„ᲒᲚᲔᲮᲘᲡ“ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ.

ქ. ქუთაისი: ქალაქის საბჭო, ვიქტორ მახვილაძე. წიგნის მაღაზია „კოლხიდა“.

ქ. ბათუმი: ქალაქის საბჭო, პ. გამყრელიძე.

სადგური ხაშური: კასირი გიორგი ჩარხიშვილი.

ჭიათურა: ბ. ზერიძე. ილიკო კაკაბაძე.

ყვირილა: წიგნის მაღაზია გაჩეჩილაძის. პლატო-ლექავა.

ფოთი: ონისიმე ჟვანია. მიხეილ ესაკია.

სამტრედია: კირილე კოხრეიძე.

დიდი-ჯიხაიში: ნიკოლოზ სოსელია.

ქ. გორი: მიხა ადუაშვილი და წიგ. მაღ. არჩვაძესა.

ქ. დუშეთი: მღვდ. ტატუნაშვილი. ზაქ. სიოანაიძე.

ქ. თელავი: ივანე პაატაშვილი.

ქ. სიღნაღი: გიგო შაიშმელაშვილი.

დ. ხონი: მოსიკო ჭელიძე.

დ. ცხინვალი: ნიკო კასრაძე.

ქ. ოზურგეთი: პარმენ თოთიბაძე და წიგ. მაღ. „იმედი“.

ქ. სოხუმი: ბ. ძიძიგური. ბ. თედო სახოკია.

ქ. ახალციხე: კონსტანტინე გვარამაძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლეხზე“

სტამბა „ᲘᲓᲔᲐᲚᲘ“ (მ. დ. კიკნაძისა)
ნიკოლოოზის ქუჩა, მილოვის სახლი № 6.